კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. აღნიშნული დებულება არეგულიურებს პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - სტუდენტი) მიერ საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) განსაზღვრულ საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის (შემდგომში - პრაქტიკა) გავლასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. სტუდენტები პრაქტიკას გადიან კერძო ან საჯარო სამართლის ორგანიზაციებში, რომლებთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ან/და მემორანდუმი პრაქტიკის გავლის შესახებ.

მუხლი 2. პრაქტიკის მიზნები

1. პრაქტიკის განხორციელების მიზნებს წარმოადგენს სტუდენტის მიერ:

ა) მიღებული თეორიული ცოდნის დაკავშირება პრაქტიკასთან;
ბ) სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება;
გ) პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

მუხლი 3. პრაქტიკის განხორციელების ძირითადი პრინციპები

1. პრაქტიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შპს ბარაკონსა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციას შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელიც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტით - ხელშეკრულებით ან/და თანამშრომლობის მემორანდუმით.

2. პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმო/პარტნიორი ორგანიზაცია აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად სტუდენტებისთვის მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას რეალურ სამუშაო გარემოში;

ბ) უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ადეკვატურ და უსაფრთხო გარემოს;

გ) ხელს უწყობს პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის დადასტურებას მტკიცებულებებით;

დ) მონაწილეობს პროგრამის მოდულით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგის დადასტურების/შეფასების პროცესში;

ე) აწვდის ინფორმაციას კოლეჯს მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;

ვ) ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე გამოყოფს პრაქტიკის ინსტრუქტორს.

3. პრაქტიკის განხორციელებას წინ უძღვის სტუდენტების ინფორმირება. პრაქტიკამდე კოლეჯი აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. კერძოდ:

ა) შრომის უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;

ბ) პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის შესახებ;

გ) დღიურის წარმოების შესახებ (დღიური შეიძლება იწარმოებოდეს ელექტრონულად ან/და ხელნაწერის სახით) (საჭიროების შემთხვევაში);

დ) საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის შეფასების შესახებ.

მუხლი 4. სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზაცია, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი

1. პრაქტიკის პროცესი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა - პროგრამის კოორდინატორის მიერ სტუდენტთა ინფორმირება;

ბ) პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ პროგრამის კოორდინატორთან ერთად პრაქტიკის ადგილის გაცნობა;

გ) სტუდენტთა სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების/პრაქტიკის დღიურის წარმოება (დანართი 1);

დ) სტუდენტთა რეგულარული ზედამხედველობა პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ;

ე) სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ;

ვ) პრაქტიკული კომპონენტის შეფასება.

მუხლი 5. პრაქტიკის ხელმძღვანელობა

1. პრაქტიკული კომპონენტის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, რომელიც:

ა) მონაწილეობს ბრძანების პროექტის შემუშავებაში, სადაც გაწერილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილი ვადების მითითებით. შემუშავებული ბრძანების პროექტი წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად;

ბ) დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ, რომელიც მოიცავს მომსახურების გაწევის დაწყების და დასრულების თარიღებს, განხორციელების ადგილს, პროფესიული სტუდენტის სახელსა და გვარს. აღნიშნული ინფორმაცია შესაძლოა იცვლებოდეს მემორანდუმით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 6. პროგრამის კოორდინატორის უფლება-მოვალეობანი

1. პროგრამის განხორციელების ფარგლებში პროგრამის კოორდინატორი (კოორდინატორები) ვალდებულია:

ა) მიიღოს მონაწილეობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და მათში ცვლილებების განხორციელების პროცესში;

ბ) უზრუნველყოს მოდულის დაწყებამდე მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ წარდგენილი კალენდარული გეგმის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან ერთად;

გ) შეფასების განხორციელებამდე მიიღოს მონაწილეობა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში;

დ) მიიღოს მონაწილეობა ვერიფიკაციის პროცესში;

ე) მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესზე დაკვირვების პროცესში;

ვ) სტუდენტებს მიაწოდოს ინფორმაცია პრაქტიკული კომპონენტის/საწარმოო პრაქტიკის განხორციელების თავისებურებების შესახებ;

ზ) პრაქტიკის ინსტრუქტორთან ერთად, სტუდენტებს გააცნოს პრაქტიკის ადგილი;

თ) დაამყაროს კონტაქტი ინსტრუქტორთან და მიიღოს ინფორმაცია სტუდენტთა მოსწრების შესახებ;

ი) გაუწიოს კონტროლი სტუდენტების პრაქტიკის ობიექტზე დროულ გამოცხადებას და პრაქტიკის ვადების დაცვას;

კ) განახორციელოს მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებლისგან მტკიცებულებების შეგროვება;

ლ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ჩაიბაროს მტკიცებულებები შეფასების უწყისებთან ერთად;
მ) ითანამშრომლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და მიაწოდოს მათ ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დეტალებთან და დარგის სიახლეებთან დაკავშირებით;
ნ) დაიცვას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ინსტრუქტორის უფლება-მოვალეობანი

1. პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება, ვალდებულია:

ა) შეადგინოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე კალენდარული გეგმა სასწავლო გეგმის შესაბამისად;
ბ) განახორციელოს სტუდენტთა სწავლება მოდულის შესაბამისად;
გ) გააცნოს სტუდენტებს პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობები და უზრუნველყოს პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტება;
დ) საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის უზრუნველყოს სასწავლო მასალის მოდიფიცირება/აკომოდირება;
ე) შეიმუშაოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები;
ვ) განახორციელოს სტუდენტთა შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, ჩაატაროს პროფესიული სტუდენტებისთვის განმეორებითი შეფასება;
ზ) დღიურის წარმოების შემთხვევაში, ყოველკვირეულად შეამოწმოს სტუდენტის მიერ წარმოებული დღიური პრაქტიკული კომპონენტის მიმდინარეობის შესახებ;
თ) მიაწოდოს ინფორმაცია პროგრამის კოორდინატორს სტუდენტთა მოსწრების შესახებ;
ი) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, დადგენილ ვადებში ჩააბაროს მტკიცებულებები შეფასების უწყისებთან ერთად;
კ) დაიცვას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა და შინაგანაწესით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები;
ლ) მოთხოვნის ან/და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის დასრულების შემდეგ მისცეს სტუდენტს დახასიათება მის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს ხარისხის შესახებ.

მუხლი 7[1]. საწარმოს მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ინსტრუქტორის უფლება-მოვალეობანი

1. საწარმოს ინსტრუქტორი, რომლის გამოყოფის ვალდებულება რეგულირდება საწარმოსა და კოლეჯს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა კოლეჯს არ აქვს მასთან მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება გაფორმებული, ვალდებულია:

ა) გააცნოს სტუდენტებს პრაქტიკის გავლისთვის საჭირო პირობები და უზრუნველყოს პრაქტიკის პერიოდში შესასრულებული ამოცანების განმარტება;
ბ) პრაქტიკის განხორციელებისას გაუწიოს ზედამხედველობა სტუდენტებს;
გ) ყოველკვირეულად შეამოწმოს სტუდენტის მიერ წარმოებული დღიური პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ;
დ) მიაწოდოს ინფორმაცია მოდულის განმახორციელებელს სტუდენტთა მოსწრების შესახებ;
ე) მიიღოს მონაწილეობა პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგის დადასტურების პროცესში;
ვ) მოთხოვნის ან/და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის დასრულების შემდეგ მისცეს სტუდენტს დახასიათება მის მიერ შესრულებული პრაქტიკული სამუშაოს ხარისხის შესახებ.

მუხლი 8. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

1. პრაქტიკის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
ა) პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა გაიაროს რეალურ სამუშაო გარემოში;
ბ) მოითხოვოს ადეკვატური და უსაფრთხო გარემო;
გ) მიიღოს კონსულტაცია პროგრამის კოორდინატორისგან და/ან პრაქტიკის ინტრუქტორისგან /საწარმოს ინსტრუქტორისგან პრაქტიკის განხორციელების თავისებურებების შესახებ.
2. პრაქტიკის განხორციელებისას სტუდენტი ვალდებულია:

ა) ზუსტად დაიცვას სამუშაოს უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
ბ) დაიცვას პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორი დაწესებულების სამუშაო რეჟიმი და შინაგანაწესი;
გ) დროულად, ზუსტად და სრულად შეასრულოს ინსტრუქტორის მიერ გაცემული დავალებები;
დ) აწარმოოს პრაქტიკის დღიური (მოთხოვნის შემთხვევაში);
ე) დაადასტუროს მოდულით გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგი;
ვ) პრაქტიკის დამთავრების შემდეგ დროულად წარუდგინოს მოდულის განმახორციელებელს მოდულით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის შეფასება

1. მტკიცებულებების შეგროვების დაწყებამდე მოდულის განმახორციელებლ(ებ)ი ეცნობიან:

ა) მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს;

ბ) შესრულების კრიტერიუმებს;

გ) შეფასების ინსტრუმენტებს;

დ) შეფასების ორგანიზების თავისებურებებს.

2. მოდულის განმახორციელებლ(ებ)ი შეფასების პროცესში:

ა) პირადად აკვირდებიან სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულების პროცესს;

ბ) შესაფასებელი პირისთვის აწარმოებენ შეფასების ინსტურმენტს/შეფასების ჩანაწერებს;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უსვამენ დამატებით შეკითხვებს დავალებასთან დაკავშირებით;

დ) აფასებენ სტუდენტს სწავლის შედეგის მიხედვით.

3. შეფასების დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებლ(ებ)ი:

ა) სტუდენტს აძლევენ განმარტებას შეფასებასთან დაკავშირებით;

ბ) აჯამებენ შეფასების შედეგებს;

გ) ადასტურებენ შეფასების შედეგებს ხელმოწერით.

2. მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი შეფასების დასრულების შემდეგ აწარმოებენ შეფასების უწყისებს.

მუხლი 10. პრაქტიკის დღიურის შეფასება

1. პრაქტიკის დღიურს სტუდენტი აწარმოებს ყოველდღიურად, ხოლო მის შეფასებას ახდენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოდულის განმახორციელებელი/ პრაქტიკის/საწარმოს ინსტრუქტორი.

2. დღიურის შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი აფასებს დღიურს პრაქტიკის დღეების რაოდენობისა და სტუდენტის მიერ პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზის მიხედვით.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

დანართი 1 - პრაქტიკის დღიურის სარეკომენდაციო ფორმა

კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული სტუდენტი ----------

პრაქტიკის ადგილი (ორგანიზაცია) ----------

პროგრამის კოორდინატორი ----------

პრაქტიკის ინსტრუქტორი ----------

თბილისი

202...

თარიღი	
განხორციელებული აქტივობები	